# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 40.—1914 მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე 7 ქრისტეშობისთვე




კომპოზიტორი კ. გ. ფოცხვერაშვილი(X) თავისი გუნდით, მის მარჯვენით მუსიკოსი ი. კარგარეთელი(X)
(მისი დღევანდელი სასულიერო და საერო კონცერტის გამო—საარტისტო საზ. საკონცერტო დარბაზში)

№ 40

# შინაარსი:


1. **მეთაური**—ორი საქართველო 1
2. **სოგოლი**—კომპ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო 2
3. **ი. გრიშაშვილი**—ცრემლების კრიალოსანი დამტვრეული პოემა 3
4. **გ. დათიაშვილი**—უკვდავების ძახილი 4
5. **ტიმოთე მაღაროელი**—სახ წარმოდ. მმართველ წრეთა მიზანი, დანიშნულება და ქართული დრამ. დასი 5
6. **ვ. საყვარელიძე**—კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი 6
7. **ზ. ახოსპირელი**—გამოთხოვება ლექსი 8
8. **დარია ახვლედიანისა**—ორი მსხვერპლი »
9. **ქნარი**—ბრძოლის ველზე, ლექსი 9
10. **იოსებ გედევანიშვილი**—სინათლე,—ნაწილი მეორე (ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ.) »
11. **ევ. ფურცხვანიძე**—დედის მკვლელი 12
12. **ქართული სახიობა** (დრამ. დასის ამხანაგობა, ქუთაისის თეატრი, სახალხო სახლი, ავლაბრის სახალხო თეატრი, ნაძალადევის სახალხო თეატრი) 13
13. **წვრილი ამბები** 16

**სურათები; განცხადებანი;**



**არტისტიულ საზოგად. თეატრი**

**ოთხშაბათს, 10 დეკემბერს 1914 წ. ობიდ.**

ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება

# საზოგადოების დედა-ბოძნი

პიესა 4 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგმ. ალ. იმედაშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

**დასაწყისი საღ.** $7^1/_2$ ს.

რეჟისორი მ. **ქორელი**

# ნაძალადევის სახალხო სახლის გამგეობა

იწვევს მუდმივ სცენის მოყვარეთა: ქალთა და ვაჟთა. მსურველთ სთხოვენ მიმართონ ნაძალადევის თეატრში—ყოველ დღე, საღამოს 5 საათიდან—8 საათამდე (5—2

## საარტისტიო საზოგ. საკონც. დარბაზი

**კვირას, 7 დეკემბერს,**

საქართველოს ეგზარხოსის ლოცვა-კურთხევით გაიმართება მხოლოდ ერთი

**ქართული სასულიერო და საერო**

# კონცერტი

## კ. გ. ფოცხვერაშვილისა

კონცერტის პროგრამაში შედის: საუკეთესო ნომრები პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტისა და აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერები, შემუშავებული ხოროსა და ორკესტრისათვის **კ. ფოცხვერაშვილის** მიერ. სხვათა შორის შესრულებულ იქნება პირველი ქართული ფუგა **»მუმლი მუხასა«** კ. ფოცხვერაშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის და თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა შეერთებული გუნდი, კერძო მომღერალთა გუნდი და „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი მონაწილეთა რიცხვი ორასამდეა

ბილეთები 75 კ. (მოწაფეთათვის 50 კ.) 5 მანეთამდე. კონცერტის დღემდე იყიდება »სახალხო ფურცელი«-ს რედაქციაში, 10 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე, კონცერტის დღეს კი—დარბაზის დერეფანში.

**დასაწყისი საღ.** $7^1/_2$ **საათზე** ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი**




№ 40

წ. II

წლიურად 5 მ., ხახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 40 — კვირა 7 ქრისტეშობისთვე — 1914 წ.


## 7 ქრისტეშობისთვე

**ორი საქართველო**

ერთი წარჩინებული, მცირე რიცხვოვანი, მაგრამ უფლებით მოსილი, მთელის ქვეყნის წარმომადგენლად აღიარებული...

მეორე მრავალრიცხვოვანი, მთელის ქვეყნის საძირკველ-ბურჯი, მაგრამ უფლება აყრილი, კაცად არ ცნობილი...

პირველთა ცხოვრების დევიზია: „რას ქართველობა, რა ქართველობა? ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს!“ და რა ერთიც უნდა აფურთხონ, შეურაცხჰყონ, სილა გააწნან, მაინც მადლობელნი არიან, ოღონდ არსებული მდგომარეობა არ შეურყიონ...

რითი ავსხნათ, თუ არა ასეთი სულდაცემულობით, როდესაც მთელი ქვეყნის სახელით ლაპარაკობენ და ქვეყნის ნამდვილ ტკივილებს, სურვილთა და მისწრაფებათ არ ააშკარავებენ, პირდაპირ არ ამბობენ, სადაც საჭიროა, რომ ქართველი ხალხი სხვაზე გაბატონებას არ მიესწრაფის, მაგრამ იმას კი მოითხოვს, დაიფარონ თანახმად დადებულის ხელშეკრულებისა და მისი უფლებანი არ შელახონ?!

დღემდე საქართველოს მხოლოდ ამ პირველთა სახით სცნობდენ, მათი სურვილი საყოველთაო სურვილად იყო მიჩნეული, მაგრამ რაოდენმამე მალალმნიშვნელოვანმა შემთხვევამ გამოაშკარავა, რომ იგინი, ვითარცა ერთი უპირატესი წოდების წევრნი, მთელი ქვეყნის სურვილის გამომხატველნი არ იყვნენ, არ არიან და ვერც იქნებიან თვისი ბუნებრივი მიდრეკილების გამო...

ისტორიამ უკვე თავისი მსჯავრი გამოაცხადა: წარჩინებული და მისგან დაწიხლული, ბატონი და ყმა ურთიერთისგან გათიშა...

პირველი მიდის, მეორე მოდის...

ამ მეორემ ჯერ კიდევ ვერ შესძლო მთელის საქართველოს სახელით პირდაპირ ლაპარაკი, არამედ ქართველების მხრით გაიხმაურა...

მაგრამ ეს მოვლენაც ცხადჰყოფს, რომ იბადება ახალი საქართველო, არა გაუპირატესებულწარჩინებულთაგან, არამედ ქართველთა ყოველი ნაწილისაგან — შეკრულებულ წოდებისა დ ხელდაკოჟრებულ მუშა-გლეხებისაგან შემდგარი, რომლის დევიზია საერთაშორისო ფერხულში საკუთარის სახით ჩაბმა, თავის კულტურით, მისწრაფებით და თვისი ვინაობის მტკიცე დაცვით სხვებთან ძმობა...

ახალი საქართველო აღარ ჰსურვობს ძია-ლალებს... მთელ საუკუნოზე მეტ ხანს ამ წარჩინებულ-ბრწყინვალეთა მონურად ლოლიალმა ნათელჰყო, რომ შეუძლებელია ამ ორთა ერთად სიარული...

დღეიდან ახალმა საქართველომ თვისი გზით უნდა იაროს და მომავალი ცხოვრების საძირკველიც საკუთარის ხელით ჩაჰყაროს...

მიდის ძველი, მოდის ახალი!..

გაუმარჯოს ახალს!..

# კომპ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო
(სხვა და სხვა გაზეთის აზრი)



კომპ. კ. ფოცხვერაშვილი

დღეს, 7 დეკემბერს, „არტის. საზ." დარბაზში ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი მართავს სასულიერო კონცერტს საერო განყოფილებით. ყოველი ქართველი ფრიად დაინტერესებული უნდა იყოს ასეთი კონცერტებით, რომელნიც დიდად უწყობენ ხელს ჩვენი მუსიკის განვითარება-შესწავლის საქმეს. უცხოელნიც კი აღტაცებაში მოჰყავს ჩვენს ხალხურ სიმღერა-საგალობლებს და სირცხვილი იქნება ჩვენთვის, ერთხელ მაინც არ მოვისმინოთ ისინი ევროპიულ ჰარმონიზაციით დამუშავებული. აი, რას სწერდენ კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის შესახებ, რომელიც მან გამართა პეტროგრადში 1914 წ. 16 მარტს. არას ვიტყვით ნ. მარრის წერილის შესახებ, რომელიც ქართველ საზოგადოებას წაკითხული აქვს („სახალხო ფურცლის" აპრილის ერთ-ერთ №-ში), მოვიყვანთ მხოლოდ სატახტო გაზეთების კრიტიკოსების აზრსა:

„...ქართული საეკლესიო მუსიკა ძლიერ ძველი დროისაა, რადგანაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო მე IV საუკუნეში ბერძნებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენ მღვდელ-მსახურებმა თან მოიტანეს ბერძნული სღვთისმსახურო საგალობლები, საქართველოში შედარებით მალე შეიცვალა იგი ეროვნულ ნიადაგზე. რადგანაც საეკლესიო საგალობლები ყველგან უკეთ ინახებოდა, ვიდრე საერო ხალხური, ამიტომ ქართული საეკლესიო საგალობლებიც უფრო წმინდადაა დაცული. ამ მხრით ქართული საეკლესიო საგალობლები დიდ ინტერესს იწვევს არამც თუ მხოლოდ ეთნოგრაფიულის, არამედ წმინდა მხატვრულის მხრივაც, რადგან ქართველები ძლიერ მუსიკალური ხალხია, რომელსაც აქვს ბუნებრივი მუსიკალური გემოვნება"...

(გ. ტიმოფეევი გაზ. „რეჩი" 18 მარ. 1914 წ.)

„...საღამო ძლიერ საინტერესო იყო სხვა და სხვა თვალსაზრისით. მსმენელთა წინაშე გაიარა დიდებულმა საეკლესიო საგალობლებმა, ძლიერ ორიგინალური ჰარმონიული კონსტრუქციისამ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ნომრები, რომელიც უცვლელად წარმოადგენდა ნამდვილად ჩაწერილ ქართულ სახალხო საგალობლებს... შეუძლებელი იყო ტაში არ დაგვეკრა, თუმცა საეკლესიო საგალობლების შესრულების შემდეგ ტაში აღკრძალული იყო... ქართული საეკლესიო საგალობლების საღამო ამასთანავე იყო კულტურულ-ეროვნული პროპაგანდის იარაღიც. მცოდნე პირები ირწმუნებდნენ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტის დროს დიდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიას აქვს საკუთარი თავისებური რელიგიური მუსიკალური კულტურა"...

(სი გაზ. „დენი" 18 მარტს, 1914 წ.)

„...საღამო მხატვრული და სამეცნიერო თვალსაზრისით ბევრის მთქმელი იყო. ქართულ საეკლესიო საგალობლებზე დიდი გავლენა მოუხდენია ქართულ ხალხურ სიმღერებს"...

(ა. კ. „ბირჟევია ვედომსტი")

უფრო მეტად საყურადღებოა გამოჩენილის კრიტიკოსის ნ. ბერნშტეინის რეცენზია, დაბეჭდილი „პეტერბურგის ვედომოსტებში" 19 მარ. 1914 წ.

„...ნამდვილი ქართული ხალხური შემოქმედების ჰარმონიული განსაკუთრებული თვისებანი ძლიერ საყურადღებოა. ევროპიელების ყური სრულებით არაა შეჩვეული ასეთ საოცარ თავისებურ მუსიკალურ კომბინაციებს.

ძლიერ საყურადღებოა „წმიდაო ღმერთო", იმერულ-გურული კილოსი, ჩაწერილი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ძლიერ საინტერესოა მის მიერ ჩაწერილი „ალილო"...

„ყოველ შემთხვევაში ეს ძველებური საგალობლები მოწმობენ თავისებურ ხმების კულტურას იმ საქართველოში, რომელიც საერთოდ მდიდრად და გულუხვადაა დაჯილდოებული ბუნების მხრივ"...

ასეთი დაფასების შემდეგ, ვიმედოვნებთ, ქართველები ჩვენსავე მარგალიტებს გულგრილად არ შევხვდებით და ჩვენის თანაგრძნობით წავაქეზებთ მისს დაუღალავ მუშაკს.

სოგოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცრემლების კრიალოსანი

### (დამტვრეული პოემები)

ბატონო რედაქტორო! ეს „დღიური“ „ახალი კლუბის“ დარბაზში ვიპოვე ქართველთა ერთ კრებაზე. პატრონი ვერ აღმოვაჩინე. გაზეთშიც იყო რავდენჯერმე გამოცხადებული, მაგრამ ამაოდ. გადავფურცლე და არც სახელ-გვარი აღმოჩნდა რვეულზე. ბოლოს გამახსენდა ჰეინეს სიტყვები: „ჯოჯოხეთს შთაკალ, ჯოჯოხეთს, ოღონდ შეყვარებულთა ბარათები წამაკითხაო!“ და მეც, როგორც ჰეინეს პატივისმცემელმა, ეს სიტყვები სისრულეში მოვიყვანე: გადავშინჯ-გადმოვშინჯე! გადავფურცლ-გადმოვფურცლე! გადავწერ-გადმოვწერე; ზოგს რანდა გაუსვი, ზოგიც გავქლიბე და ამ რიგად, ვითომდა შეკეთებულ-შელამაზებული, წარმოგიდგინეთ დასაბეჭდათ...

ეხ, რა კარგია ჯეელობა და! არა, ბატონო რედაქტორო?!

პატივ. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

2 ნოემბერი

**სოფი!** კარგად არ მახსოვს, გუშინ წინ იყო თუ გუშინ წინის-წინ, ეს კი ვიცი, რომ სახლში მოგიველ, მაგრამ არ დამხვდი. პატარა შაქრიკამ მითხრა: ‚გვიან მოვაო!“ მეწყინა! ღმერთმანი მეწყინა! პირველი უსიამოვნობა ჩვენი პირველი სიყვარულისა მეთქი,--წავიბურტყუნე და მოუსვი.. ციოდა. სახლში მოვსულიყავი თურმე.. დავანთე ქურსი და როცა ნადიმი ცეცხლი მაყალზე აიღველფა, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი სიკანკალე, მხოლოდ მაშინ შევამჩნიე მოვერცხლილი, მაგრამ ბუნდოვანი, რიჟრაჟი. ღმერთი! რჯული! ჩემი სალოცავისთვის იმ ღამეს „ღამის თევა“ არ აღმეთქვა. მაშ რას ვაკეთებდი?—არ ვიცი. რათ გავათენე ის ღამე თეთრად?—არ ვიცი! რა მქონდა უზურში?— არ ვიცი! ეს კი ვიცი, რომ დილით, ხახასა დილით, შენთან გავჩნდი. . კარების კაკუნი არ დამჭირდა, რადგან, როგორც ყოველთვის, კარები ღია დამხვდა. მხოლოდ შენი პატარა ძაღლი, „ფირუზად“ წოდებული, შემომყეფდა და ტანსაცმლის მილებავდა თავის მოთეთრო თათებით... და ვერ მივხვდი: გახარდა ჩემი მოსვლა, თუ მეუბნებოდა: არ შეიძლება, ქალბატონს სძინავსო! არ ვიცი! არ ვიცი! ეს კი ვიცი, რომ შენ ჩვეულებრივად არ წამოიჭერ ლოგინიდან. ჩვეულებრივად ძირს არ ჩამოუშვი შენი შიშველა ფეხი,-მარჯვენა ფეხი,-ალბად ფლოსტში ჩასაყოფად. ჩვეულებრივად ვერ ვიხილე შენი გულ-ამოჭრილი დარაიის პერანგი, რომლის მარცხენა თასმა მარცხენა მკლავზე გადაიჩაჩებოდა ხოლმე, ალბად იმიტომ, რომ უფრო ნათლად დამენახა მარცხენა მკერდთან, ხალის გარშემო, ამოჭდეული ოთხი კბილი... ჩვეულებრივად აღარ მითხარი ვედრებითი საყვედურით და თვალების სრესით: „ამ...დენ...ხანი სად იყავი? რად დ..აი..გვიანეო“ შენ მხოლოდ იწექი, იწექი და .. იწექი და.. (ეს ოხერი რა ცუდი კალამი შემხვდა) ო, სოფი! სოფი! ღმერთს გეფიცები, მე აქ არაფერ შუაში ვარ, მე მხოლოდ შენი ნახვა მსურდა, მე მხოლოდ მინდოდა მენახე, თუ რა ყაიდაზე გძინავს ხოლმე. მე მხოლოდ შენი ფშვინვა მსურდა მომესმინა და... ღმერთს გეფიცები, ჩემი ბრალი არ არის, რომ შენს ფურთუკის ბალიშს, სადაფის ღილი მოსწყდა; ეს ალბად შენი თმის ბეწვი გადაეხლართა და იმან მოსწყვიტა. ღმერთს გეფიცები, მე აქ არაფერ შუაში ვარ! ღმერთს გეფიცები! ამბობენ: ის ღილი მუზეუმში გადაეციო. მა, შენ რას იტყვი?..

3 ნოემბერი

**მარუსია!** ტბის ზედა პირზე მთვარე ისე კრთის, ვით შენს გულ-მკერდზე ოქროს საათი; მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ტბა ჰფეთქს, მთვარე კი — სდუმს, და ეგ შენი გული სდუმს და ნაცვლად კი —საათი სცემს.

5 ნოემბერი

**თამრუნი!** შენს სტუმართ შორის, ვისაც ცოტათი მაინც აქვს დაკვირვების ნიჭი, ის უეჭველად შეამჩნევს, რომ შენს საწერ მაგიდაზე საყვავილე ქილას, სულ სხვა მიზნით აქვს პირი მომტვრეული. მე არ დავასახელებ მიზეზს. ყველამ იცის, რომ შენ „კოცნის ლოთი“ ხარ, და, აი, როცა ერთხელ, ერთ შესანიშნავ საღამოს, გიკითხავდი ჩემ მიერ შექმნილ ახალ ლეგენდას, ლეგენდას სასიყვარულო ძეწკვზე ასხმულს, ლეგენდას ჰაეროვანსა და ზე-ქვეყნიურს, და აი როცა გიმტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცებდი: „შეყვარებული კაცი არასოდეს გარყვნილი არ იქნება მეთქი“, შენ უცაბედათ აზვავდი, გადამეხვიე, აშოლტილ ტანზე შემომიკარ, მოქნილ მკლავებში გამწურე და... აღარ მახსოვს... მე მხოლოდ ის მახსოვს, რომ გაქცევის დროს დავეჯახე მაგიდას, დავეჯახე და.., საყვავილე ქილას პირი მოემტვრა. თამრუნი! ამას იმიტომ გწერ, რომ შენი მეგობრები თავიანთის „შეუდარებელ სისულელით“, ვინ იცის, ხან რას მიაწერენ მაგ ქილის გატეხას და ხან რას, მაგრამ ვისაც ცოტათი მაინც აქვს დაკვირვების ნიჭი, ის უსათუოდ შეამჩნევს, რომ შენს საწერ მაგიდაზე საყვავილე ქილას სულ სხვა მიზნით აქვს პირი ჩაკბილული.

6 ნოემბერი

**ელიზა!** შენი თვალები ველის ყვავილებსა ჰგავს, ლურჯის ცრემლით მონამულს.. შენი თვალები ამბორსა ჰგავს, ხუცესთა ტუჩებიდან მოწყვეტილ ამბორს. შენი თვალები ღამეზე უშავესია და დღეზე უთეთრესი.. დამასაფლავე შენს თვალებში, ელიზა, დამასაფლავე.. დამასაფლავე, რომ ჩემს კუბოს არავინ არ მიეკაროს შებრალების ღიმილით, დამასაფლავე შენს თვალებში, ელიზა, რომ ჩემს საფლავს ცა არ დასცქეროდეს, ცა უმთვარო და უვარსკვლავო, დამასაფლავე შენს მთვრალ თვალებში, ელიზა, დამასაფლავე!..

8 ნოემბერი

**ცაცა!** როგორც ყვავილებში მხოლოდ ნუშის ყვავილს ვეტრფი, ისე ქართულ ანბანშიც მხოლოდ ასო „ს“ მიყვარს. რათაო მკითხავ! ახირებული კითხვაა თქვენმა მზემ! გიმეორებ — ქართულ ანბანში არც ერთ ასოს ისე არ თანაუგრძნობ, როგორც ასო „სანს“.. იქნება იმიტომ, რომ სიყვარულისა და სიძულვილის დას წყისი „სანია?“ ან იქნება იმიტომ, რომ სიკვდილი და სიცოცხლე „სანით“ იწყება? ან და იქნებ იმიტომ, რომ ჩემს სატრფოს სახელში ურევია ასო „ს“, არ ვიცი! არ ვიცი! როგორც ყვავილებში მხოლოდ ნუშის ყვავილი მიყვარს, ისე ქართულ ანბანშიც მხოლოდ ასო „ს“.. და რამდენს დაჰკარგავდა ქართული ენა, ეს ასოც რომ გაუქმებულიყო?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# უკვდავების ძახილში

(ვუძღვნი ლელის)

დილა იყო მშვენიერი. დილა კეკლუცი. შორეული საყვარლის იდუმალი ხმით ფრთა ნაცქვეტი ქალწული ტურფა წალკოტს შეხიზნოდა. მოღერილ ყელზე ფერნამკრთალი ყვავილების აცმა გადმოეკიდა და დალალდაშლილი, ღილებ შეხსნილი, ფეხშიშველა, ტიტველ მკლავებ-მონარნარე ტანის რხევით, სუფთა ფეხთ მოსმით ცეკვავდა. ტოკავდა ზეფიროვანი ტანით თვისით ხავერდის მობიბინე მდელოში... ცეკვავდა და... ოდეს მოსწყინდა ლაღობა, ოდეს ანკარა გონების სარკეში საყვარლის სახე განუცხოველდა, ვით წყარო ჩუხჩუხა, ვით წყარო ვერცხლტანა, ჩაირხა საოცნებოთ მწვანე მოლში. ვით იას მზის ციაგზე უთრთის სხივთ მწველი ისრებით ნაზი ბაგე, აგრე უკრთოდა და ულიმოდა კდემამოსილს ასულს იისკე მსგავსი ბაგენი... ულიმოდა ბაგენი და ოქროს ხრილი, გაცრილი სუფთა სიცილის საცერში, მოტივტივე ბროლის მკერდზე ეფრქვეოდა. ეწვოდა ფეთქილი ლაწვები ოცნების ალით....

ვით გედი, ფრთებმოწურული, მიფრინავდა საყვარლისკენ და გრძნობას წმიდას, გრძნობას უსუსურს თან მიაფრენდა. ფიქრნი სპეტაკნი, წმიდა ზრახვანი ფარვიდენ მას, ვით დედა პირმშოს თვისას. განვლო ასულმა ფიანდაზით ფენილი გზა; შევლო მოკრძალებით საყვარლის სასახლე.....

ვით მთვარემ, მოქათქათე ტანი თვისი გამჭვირვალე საბურველში ჩასძირა, და ცით მოსხლეტილი, მოთამაშე ფიფქი თოვლისა, ჩაინთქა უკვდავების ძახილში, ჩაიფერფლა კოცნის ცეცხლში... დაბნელდა... დაბნელდა და უკუნში იშვა ახალი სახე. იშვა ლამაზი და თვალნი მშობლისა, მობინდულნი ჟუჟუნა ცრემლთა დენით, მიიპყრო საოცარმა ქმნილებამ.

სჭვრეტდა მშვენიერებას და ტირილი ერეოდა.

სჭვრეტდა მშვენიერებას და იღიმოდა.

სჭვრეტდა მშვენიერებას და უცხო ქვეყანა ეშლებოდა.

ისე სტკბებოდა უკვდავი შემოქმედით, ვით რაფაელი მადლით მოსილი მადონათი.

**გ. დათიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართ. სახ. წარმოდ. მმართველ წრეთა
# მიზანი დანიშნულება
## და ქართული დრამ. მსახიობთა დასი

---

ქ. თბილისის განაპირა უბნებში რამდენიმე წრეა, რომელთა მიზანია ჰმართონ სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენები და მით შეუწყონ ხელი მშრომელ მდაბიო ხალხის გათვითცნობიერება-განვითარებას.

ასეთი წრე არსებობს, სხვათა შორის, შუაგულ ქალაქშიაც—ზუბალაშვილის სახალხო სახლთან...

ეჭვს გარეშეა, ყველა უბანში რომ იმისთანა თეატრი იყოს აშენებული, როგორც, მაგალითად, სახაზინო, ანუ საარტისტო, იქ თავს მოიყრიდნენ ყველა ეროვნების მსახიობნი და მხატვრულ წარმოდგენების მართვით დაატკბობდნენ მაყურებელთ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვინაიდან ეს ასე არ არის, მათს მოვალეობას ასრულებენ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრენი, სცენის მოყვარეთა დასის საშუალებით.

ვისგნით შესდგება სცენის მოყვარეთა დასი? სამსახურში მყოფ ინტელიგენტთა და ხელოსან-მუშათაგან, რომელნიც, სადილობამდე (უმრავლესობა კი საღამომდე) ლუკმა პურის საშოვნელად მუშაობენ, საღამოზე, დაღლილ-დაქანცულნი, მიდიან რეპეტიცია-წარმოდგენაზე და სახლში ბრუნდებიან, ხშირად, ღამის 12—1 საათზე.

გარდა იმისა, რომ სახალხო წრეების მიზანია სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენების მართვა, მათივე პირდაპირი მოვალეობაა ეს წარმოდგენები მხატვრულად მოაწყოს, რომ ესა თუ ის პიესა, სავსებით და სინამდვილით განასახიეროს, რათა მაყურებელს მიეცეს საშუალება ზედმიწევნით შეისისხლ-ხორცოს პიესის აზრი, ავტორის მიერ გამოთქმული.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ერს აღარა აქვს საკუთარი სათეატრო დარბაზი... იგი გადაიწვა და ჩვენი ქართ. დრამ. დასის მსახიობნი უბინაოდ დარჩნენ: მათ არ მოეპოებათ წარმოდგენების სამართავი ადგილი და დიდს გაჭირვებას განიცდიან.

მსახიობნი სცენის მოყვარენი ხომ არ არიან, დღისით სამსახურში დაიარებოდნენ და საღამოთი, მუშაობის შემდეგ, რეპეტიციებზე. მათი სამსახური სცენაზე იყო, ახლა კი მათ არ ძალუძთ „სამსახურში“ წასვლა, რადგან სცენა-თეატრი—გადაეწვათ და ვერც სხვაგან უშოვიათ „სამსახური“, რადგან ყველა სცენაზე „ადგილი დაჭერილია“...

ნუ თუ ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება? ნუ თუ ჩვენ არ უნდა აღმოუჩინოთ სახსარი, რომ მთელი დასი „სამსახურში“ ჩავაყენოთ? არამც თუ ყურადღება, პირდაპირი ჩვენი მოვალეობაა—მათ დავეხმაროთ ამ საქმეში...

ვის, რომელ წრეს შეუძლიან გაუწიოს სამსახური? ჩვენის აზრით, ზუბალაშვილის სახლთან არსებულმა ქართულმა წრემ აუცილებლივ უნდა დაუთმოს ქართულ დრამატიულ მსახიობთა დასს ყველა თავისი დღეები.

იქნება ამ წრემ სთქვას:—ჩვენ რაღა გავაკეთოთო და სხ.

ამ კითხვაზე პასუხის მისაგებად საჭიროა ვკითხოთ: ბ.ბ. რა გსურთ თქვენ? რა აზრია თქვენს მუშაობაში?

იაფ-ფასიანი წარმოდგენების მართვა?!.. პიესების მხატვრულად დადგმა?—კეთილი და პატიოსანი!..

პირველი ე.ი. იაფ-ფასიანი წარმოდგენების მართვა დაავალეთ დრამატიულ დასს—თვეში ორჯერ-სამჯერ—როგორც ამას საჭიროდ დაინახავთ თქვენის რეპერტუარით...

რაიც შეეხება მეორეს—ეს ხომ ცხადზე უცხადესია, რომ დრამატიული დასი გაცილებით მხატვრულად და უკეთესად გამართავს წარმოდგენებს, ვიდრე სცენის მოყვარენი და, ვგონებ, შედარებაც კი უხერხულია —

მიზანი წრისა განხორციელებული იქმნება: სცენის მოყვარენი მართავდნენ წარმოდგენებს იმიტომ, რომ მსახიობნი არ იყვნენ, ახლა მთელი დრამატ. დასი თავისუფალია, „უადგილოდ“ დარჩენილი!—მაშასადამე, სინდისი, საქმის, ხელოვნების სიყვარული, სიმართლე მოითხოვს, წრემ და სცენის მოყვარეებმა—დაუთმონ ადგილი—მელპომენეს ნამდვილ მსახურთ!

ნივთიერ მხარეზე დაპარაკი—ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან სცენის მოყვარენი არ იდებენ ჯამაგირს; გარდა ამისა, წრის აზრია, მხოლოდ ის, რომ დაფარონ ხარჯები და მხატვრული იაფ-ფასიანი წარმოდგენები ჰმართონ. იგი აძლევს ჯამაგირს მხოლოდ რეჟისორს. ამ ჟამად კი ამ წრეს ისეთი რეჟისორი ჰყავს მოწვეული, რომელსაც სხვა შემოსავლის წყარო აქვს არსებობისა და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, ამ წრის რეჟისორი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ქართულ დრამატიულ დასს...

იქ, სადაც დასში ქ.ქ. ნინო ჩხეიძისა, ეფ. მესხისა, ბ. ვასო აბაშიძე, ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი და სხ. არიან, განა შესაძლებელია წრის გამგეობამ სთქვას: ჩვენ უკეთ წარმოდგენას გავმართავთო? ჩვენა გვგონია წრის გამგეობა თავის ადგილს—დღეებს—ჩვენს დრამატიულ დასს დაუთმობს და მით საშუალებას მისცემენ ხალხს იაფ-ფასიან და მხატვრულ წარმოდგენების ნახვით დასტკბეს. გამგეობას შეუძლიან გვითხრას: ჩვენი დღეები ქართ დრამატიულ დასს რომ დაუთმო, ჩვენმა სცენის მოყვარეებმა რაღა გააკეთონ, სად წავიდნენო და სხვა!

ქ. თბილისში, გარდა ზუბალაშვილის სახლთან არსებულ წრისა, კიდევ ოთხი წრეა: ავლაბარში, ნაძალადევში, ხარფუხში და საბურთალოზე.

მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! მოგვეშველეთ, ახლა, ამ ჟამად ძალიან საჭიროა დამხმარე ძალა განსაკუთრებით საბურთალოზე, შემდეგ ნაძალადევში, ხარფუხში და, ბოლოს ავლაბარში. იქნება ჩვენი აზრი მათ არ ესიამოვნოთ და არც კი მოისურვონ საბურთალოსა ან ნაძალადევში გადასვლა.

ვისაც გულწრფელად მუშაობა ჰსურს, ვისაც უყვარს საზოგადო საქმე, ვისაცა ჰსურს თავისი წვლილი შეიტანოს ამა თუ იმ საზოგადო ასპარეზზე. ის არასოდეს არ უნდა დაერიდოს არც სიშორეს, არც სიცივეს, არც ქარიშხალს, არც ტალახსა და წვიმას და არც სხვა ამისთანებს. მისთვის სულ ერთი უნდა იყოს: სად იშრომებს, ზუბალაშვილის სახლში თუ საბურთალოზე; პირიქით, ჩვენ უფრო საპატიო და სასარგებლო პირად მიგვაჩნია ის, რომელიც თავის უანგარო განუწყვეტელი შრომით განაპირა უბნებში მუშაობს, მდაბიო, საწყალ ხალხისათვის, და თითქმის არა-რასაგან ჰქმნის ცოცხალ საქმეს.

მაგალითად: ავლაბრის სახალხო თეატრში ეს სამი-ოთხი წელიწადი, ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტლივ დაიარებოდნენ და დღესაც დაიარებიან სცენის მოყვარენი: ნაძალადევიდან, ვერიდან, ამაღლების (სოლოლაკი) უბნიდან, ხარფუხიდან და ეს იმიტომ, რომ მათ უყვართ საქმე,—მათთვის არ არსებობს ყინვა-სიცივე, ქარი და თოვლი, ტალახი და მანძილი, იგინი საქმის მონები არიან და სიცილ ხარხარით ებვებიან სიშორეს, ქარსა და ტალახსაც; ამისთანანი არიან ღირსნი პატივისცემისა და სიყვარულისა.

და გვგონია ამ გზას დაადგება სახ. სახ. არსებული წრე თვის სცენის მოყვარეებით და რაც უფრო მალე დაუთმობს თვის დღეებს ქართულ დასს, მით უფრო დიდ სამსახურს გაუწევს როგორც ქართულ სასცენო ხელოვნებას, ვრეხვე ხალხის გათვითცნობიერებას დასის მიერ საუკეთესო წარმოდგენების დადგმით.

დრო შევიგნოთ ჩვენი დანიშნულება და მოვალეობა.

**ტიმოთე მაღაროელი**

# კომპ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი

(23 გიორგობისთვეს)

ბ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტს ჩვენ წინა წერილში ვუწოდეთ დიდი საერო საქმე და არა ვიწრო ეკკლესიური, რასაც სავსებით ამტკიცებს პროგრამის ორი ნომერი ალილო. (იმერული ვარიანტი) და წმიდაო ღმერთო.

ბევრი გაიფიქრებს, ალილო უთველმა ბავშმა იცის და რა უნდა იყოს მასში საყურადღებოვო. საყურადღებოა ალილოში დამუშავებული ის რთული მუსიკალური ფორმა, რომელსაც ჰქვიან კონტრაპუნქტი. მაგრამ არავის ეგონოს, ეს რთული მუსიკალური ფორმა კომპოზიტორის შეტანილიაო. სრულიადაც არა! ეს ფორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის გენიის ნაყოფია, შექმნილი რამოდენიმე საუკუნოს წინად.

მაშინ, როდესაც ჰოლანდიაში 15—16 საუკუნოებში გამოჩენილი თეორეტიკოსები იხსდნენ და თავს იმტვრევდნენ რთულ მუსიკალურ ფორმის (კონტრაპუნქტის) შექმნისათვის, ქართველი ხალხი, სრულიად უვიცი მუსიკის თეორიაში, ჰოლანდიელებზე ბევრი საუკუნით წინ, თავისი გენიოსური ალღოთი, ზეპირად ჰქმნიდა რთულ მუსიკალურ ფორმას, რაიც სავსებით გამოსჭვრეტს როგორც საზოგადოდ ბევრ ხალხურ ნაწარმოებში, აგრეთვე კერძოდ ალილოში.

მეორე ნომერიც „წმიდაო ღმერთოჲ", რომელიც ასე საუცხოვოდა აქვს კომპოზიტორს ნოტებზე გადაღებული და დამუშავებული, უძველეს დროის წა ომავლობისა არის და არა შექმნილი ქრისტიანობის მიღების, შემდეგ. ამას ამოწმებს ჯერ ერთი თვით საგალობლოს ძველი ფორმა, რომლითაც იგი იგალობება და რომლითაც იგი წააგავს უძველეს ქართულ სიმღერას „უურშაო"-ს, მეორე კიდევ ის გარემოება, რომ ამ კილოს იმერეთში ბევრს სოფელში მღერიან ამ სიტყვებით:

მზეო, დამბადო სოფლისა,
იყავ კურთხეულ;
„მზეო, მეუფევ უოვლისა
იყავ დიდებულ;
„მზეო კეთილის მომნიჭევ
გვექმენ მფარველად"...

საგალობლის ძველებური კილო და მერე თვით ამონაწერი სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ საგალობელი ხალხისაგან შექმნილია ბევრად ადრე, ვიდრე ჩვენ ქრისტიანობას მივიღებდით.

აქედამ კი ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენს ეკლესიურს გალობას ძალიან დიდი კავშირი აქვს საერო სიმღერებთან, რომ საეკლესიო საგალობლებში ბევრი ხალხური სიმღერაა შეტანილი და ამ განძს, როგორც ერთ-ერთ ნაკვთს ხალხის გენიისას, დიდი გაფრთხილება და მოვლა უნდა.

სწორედ ამ მხრით არის კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის დაწყება დიდი საერო საქმე, რომ მას საეკლესიო საგალობლები სისტემაში მოჰყავს, ჰკრეფს უნდილ მასალას, ჰფურჩქნის, სთლის, აშალაშინებს და მით ჰქმნის ამ მასალას როგორც ჩვენთვის, ისე უცხო ერთათვის ტკბილ მოსასმენად. რუსის კომპოზიტორები გრეჩანინოვი, კომპანეისკი, ჩესნოკოვი და ბევრნი სხვანი მით არიან საყვარელნი და პატივსადებნი, რომ იგინი ეძიებენ ძველ სლავიანურ კილოებს, ჰქმნიან მათ განვად და მათზე ჰქსოვენ საუცხოვო საეკლესიო საგალობლებს.

კ. ფოცხვერაშვილისთანა მუშაკნი მით უფრო არიან ჩვენთვის საჭირონი, რომ დასამუშავებელი მასალა ძალიან ბევრია, მუშაკი კი ძალიან ცოტა და თუ ვინმე გამოვიდა ამ დარგის ასაღორძინებლად მას უსათუოდ წინ ბევრი ხელშემშლელი გარემოება უნდა გადალახოს.

დიდად საჭიროა ამ გარემოებას ჩვენმა სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს, გადადოს თანხა, მოიწვიოს მცოდნე პირნი და კონკურსით დაავალოს მათ სხვა და სხვა საეკლესიო საგალობლების შემუშავება, თორემ ავტოკეფალიისა და ეროვნულ ეკლესიაზე რომ ლაპარაკობენ, რითი ჰსურთ გაუმასპინძლდნენ მლოცავთ? ნუ თუ იმ მასალით, რომელსაც ქაშვეთის ეკლესიაში 20-25 წლის განმავლობაში გალობენ?...

კონცერტის ქართულ განყოფილებამ, როგორც ტეხნიკურად, ისე ესთეტიურად ძალიან მწყობრად ჩაიარა. ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სადა საგალობელმა „დიდება მაღალთა შინა", რომლის ჰარმონიზაცია თვით კომპოზიტორს აქვს დამუშავებული. ორიგინალური მოსასმენი იყო წმიდა სინოს ტროპარი, რომლის ჰარმონიზაციაშია შედის ორი ფრაზა თვით ქართულ ტროპარისა, დანარჩენი ნაწილი-კი კომპოზიტორის კალამს ეკუთვნის. და ეს საკუთარი დრა ხალხის ქმნილება ისე არის შეზავებული, რომ უცხო კაცი თუ არა მცოდნე თვით ქართულ ტროპარისა, ამას ვერ შეამჩნევს.—

გ. საყვარელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოთხოვება
(ბაირონიდან)

მშვიდობით! ვიცი დიდ ხანს ვერ გნახავ...
ვგმობ ამ ყოფაში ჩვენ სიყვარულსა!..
შენ საუკუნო მონად დარჩები,
მეც მწამს ბრმად ვეყმო ჩემსა მამულსა!,
შენ შემარცხვენელ ციხედ, დილეგად,
არ გეჩვენება სამშობლოს ველი;
მე კი... არ ძალ-მიძს ჩემს აზრს და გრძნობას
დავადო ხუნდი სულის მტანჯველი!..
მომავალისაც სულ არა მრწამს—რა...
და რაც ჩამიქრა იმედის სხივი,—
მას აქედ ჩემი სამშობლოს ჰაერს
ველარ ვისუნთქავ . ვტირი და ვჩივი!..
ეგ შენნი თვალნიც, უცხოდ მზირალნი,
მიძლიერებენ სირცხვილის ალსა...
მიტომ დავეცი! ბრძოლის ველს ვტოვებ
და შორად მივდევ, შორის გზის წყალსა!..
მაშ მომე ხელი... უკანასკნელად
გამომეთხოვე, სწორო სულისა,
და გთხოვ გულიდან არ განიშორო
ხსოვნა მოძმისა.. დაკარგულისა!..
მე მაშინ მოვალ, როცა ჩემს გულში
სევდა-ვარამი სუ მთლად ჩაკვდება
და სამშობლოის თავისუფლების
დროშა... ზეცამდე აფრიალდება!..

**ბ. ახოსპირელი**



**პორ. თ. ნ. სპ. ანდრონიკაშვილი**
გერმანელებთან ბრძოლაში მოკლული 10 გიორ., დაკრძალეს 29 გიორგ. წმ. ბარბარეს გალავანში. 23 წ. იყო, მამაცი და შეუდრეკელი მეომარი.

# ორი მსხვერპლი

I

ზაფხულის დილა იყო. ზურმუხტის ფერად ახავერდებულ მიდამოს ნელი ნიავი საამოდ ეჩურჩულებოდა, ლურჯ ფოთლებს აშრიალებდა; აქათქათებული მზე გარემოს ოქროს მძივებით ქარგავდა, და მოკრიალებულ ცაზე, თეთრ ღრუბელთა ქარავანი სივრცეში ორთქლივით დნებოდა. ჩიორების ჟრიამული, შაშვთა ჭახჭახი და ტკბილი სტვენა ბულბულისა, ახლად გაღვიძებულ სოფელს სიცოცხლის გრძნობას უღვიძებდა...

მხოლოდ საბრალო ქეთინოს გულში არ იღვიძებდა ეს გრძნობა: მან უკვე დაჰკარგა სიცოცხლეზე ფიქრი. ის გუშინ გამოეთხოვა თავის სიცოცხლეს იმ სადგურზე, რომლიდანაც მან შორს, შორს გაისტუმრა სამი თვის ჯვარ-დაწერილი გიგა.

ის სტიროდა, სტიროდა დაუსრულებლივ და იტანჯებოდა

მთელი ღამის უძილო ქეთინო გონება-დაბნეული გამოვიდა სახლის კარებიდამ დერეფანში და გადაზნექილ სვეტს, ხელ-გულ დაკრეფილი მიეყრდნო. ის ვერ გრძნობდა მომხიბლავ ბუნების მეჯლისს. იგი სტიროდა; სტიროდა და ეზოს კარებისაკენ დაჟინებით გაიცქირებოდა, თითქო ვიღაცას ელოდა....

II

შემოდგომამ მოატანა. მზის სხივებს ფერი ეცვალა, ჩვეულებრივ ველარ ბრწყინავდა. ნისლი ნაპრალისაკენ ისწრაფოდა. გაშიშვლებულ ველზე მხოლოდ ქარი გაჰქროდა და გამოჰქროდა ზუზუნით. გაცრცვნილ ხე-ტყეს აქა-იქ შერჩენილი აყვითლებული ფოთლები კვნესით სწყდებოდა და დედამიწაზე ობლად ეცემოდა... ტურფა ბუნების გაცრცვნას მთელი მიდამო ჰგლოვობდა, სტიროდა...

საერთო ქვითინში ისმოდა ხმა საბრალო დედისა, ის მწარედ დაჰქვითინებდა ახალგაზრდა ქალის ცხედარს, მოსთქვამდა, და სტიროდა თავის ბედს, სტიროდა დაკარგულ შვილს გიგას, და მისი სიყვარულის მსხვერპლს ქეთინოს!...

**დარია ახვლედიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომში დაჭრილნი

## ბრძოლის ველზე

მეც, თოფით ხელში, შენთან ერთად დავრბოდი მთებზე
თოფ-ზარბაზნების უსაშინლეს ჭექა-ქუხილში,
და, რა ვიცოდი, თუ პირველად შენ მოგხვდებოდა, —
ოჰ, მეგობარო, ცხელი ტყვია მგზნებარე გულში...
მოვიხედე... ჩემს გარეშემო ბრძოლისა ველზე,
მრავალი ხალხი ეცემოდა უსულო—მკვდარი...
იქვე ისმოდა კვლავ გრიალი ზარბაზნებისა,
და, ვით ნადირი დაკოდილი, ღმუოდა ქარი!..

**ქნარი**



ახალგაზდა მომღერალი
**გიორგი ილიას ძე ჩუბინაშვილი**
ლოვიჩის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი (მარცხენა ფეხი მოსჭრეს). ვარშავის საავადმყოფოში წევს.



**შტ.-კაპ. ალექ. მაჭუტაძე (მოკლულია)**



**უნტ.-აფ. გ. ედიშერაშვილი**



**პოდპ. სერ. ნასიძე**

# სინათლე
## ნაწილი მეორე

(გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 36, 37, 38, 39)

### მოქმედება მესამე

#### სურათი მეხუთე

ფერიათა სამეფო. მოკაშკაშე მთვარიანი ღამე. ყოველივე ვერცხლის ფერად არის დაფერილი. ზღაპრული ბაღი ნაირ-ნაირ ყვავილ-მცენარეებით. გულწარმტაცი სურათი: ხეივნები, ჩანჩქრები. მოსჩანს ტბის ნაწილი. ხეებ და ხეებ შუა დასრიალებენ ნაზი ქმნილებანი, ხან შეიყრებიან, ხან ერთმანეთს გაურბიან, ხან ფერხულს ჩააბმენ და ეკვავენ. ნაზი მომჯადოვებელი მუსიკა. მარჯვნივ ყვავილთა და მცენარეთ თითქოს დიდი დარბაზი შეუქმნიათ: აქ ტახტია ფერიათა დედოფლის **სხივოსანისა.** მუსიკას რომ გაათავებენ, მოისმის ბულბულის სტვენა და შემდეგ ქალის ხმა, რომელიც ფერიათა დედოფლის სადიდებელ ჰიმნს მღერის. შემდე მუსიკა დაიწყებს საზეიმო მარშს; შემოდიან ფერიები და მხლებელნი სხივოსანისა და ჩამომწკრივდებიან ტახტის ორივ მხარეს. შემოდის დიდის ზეიმით სხივოსანი და დაჯდება თავის ტახტზე.

**სხივოსანი** მიხმეთ პირიმზეს..

**პირიმზე** აქ გახლავარ, დედოფალო, მიმსახურე..

**სხივ.** რამდენი ხანია ჩვენს ახლოს არა ვხედავთ ჭაბუკს არსენას? . ჩვენთან შეიზარდა, აქ დავაჟკაცდა და ნუ თუ აღარ უყვარვართ? იქნებ მოაწყინეთ, ველარ ართობთ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პირიმ**. დიდი ხანია, დედოფალო, უნდა მომეხსენებინა... შენი ბრძანებისამებრ ერთს ღამეს წავიყვანეთ ჭაბუკი არსენა მაღალ სერზე, განწმენდის მთაზე, და იქ თვალწინ გადუშალეთ მისი სამშობლოს სურათი... ჩავახედეთ ყოველ ქოხში, უამბეთ ყოველ ტანჯულის და მაშვრალის თავგადასავალი; გამოუძახეთ სამარედან წამებულთა აჩრდილნი.. ძრიელ შეწუხდა ჭაბუკი არსენა... მას აქეთია დარდობს და ნაღვლობს.. გასართობი მისთვის გასართობი აღარ არის... სევდით შეპყრობილი სულ თავის სამშობლოს იგონებს, სულ ტანჯულ მოძმეთა ამბავს კითხულობს... სულ იქით მიილტვის, სწადია კიდევ სურათის ნახვა... უამბეთ მას რკინის კოშკის და შიგ ჩაკეტილ ოქროს შანდლის და სალამურის ამბავი... დღე და ღამ მხოლოდ იმას ოცნებობს, რომ შანდალი და სალამური ხელში ჩაიგდოს...

**მთვარია** მისი მზერითა ჩვენც გული აგვტკივდა!..

**ანკარა** სევდა მოედო მთელს შენს სამეფოს..

**წკრიალა** აღარც ჩვენი გალობა, აღარც ცეკვა მას აღარ ართობს...

**ნათელა** მისმა სევდამა ჩვენც დაგვაღონა..

**სხივ**. ფერიებო, დადგა ჟამი განთიადისა.. საუკუნოებით წამებულმა ერმა ცრემლით და სისხლით ტანჯვის ფიალა აღავსო... და დადგა დრო შვებისა, განთავისუფლებისა... ჩვენ მიერ დალოცვილი ჭაბუკი ეზიარა ამ ფიალას, გაეცნო ტანჯვასა, ნახა მწუხარება, ძალმომრეობა, უსამართლობა... დეე გულის სიღრმეში მოხვდეს ხალხის წამება, მისი გოდება, რათა შველის და ხსნის სურვილმა იგი მთლად შეიპყროს. .. ფერიებო, როგორ არის მოხუცი, რომელიც თქვენ ტყეში გიპოვნიათ?..

**პირიმ** მეტად დატანჯული და დაქანცულია მოხუცი მეწისქვილე... ბევრი უწამებიათ, თვალები დაუთხრიათ და უსინათლო სამეფოდან გამოუძევებიათ...

**სხივ**. მიხმეთ მოხუცს აქ. . (პირიმზე გავა) მაინც სად არის ახლა ჭაბუკი არსენა?

**მთვ რ**. განწმენდის მთაზე, დედოფალო... თავის სამშობლოს გადასცქერის. . ვერა გზით ვერ მოვაშორეთ იმ ადგილს...

**სხივ**. წადი უხმე, სწრაფლ აქ მომგვარე... (მთვარია გავა. შემოვლენ პირიმზე და უსინათლო მეწისქვილე). როგორ გრძნობ თავს, მოხუცო?..

**მეწის**. ახლა რა მიშავს... ბედმა გაუღიმა ჩემს ბებერ სხეულს, მაგრამ სული მაინც დაავადებულია... უსინათლოსა სინათლის ქვეყანა ვერ მიხილავს... ეჰ, განა მარტო ჩემთვის გაქრა სინათლის შუქი?.. მთელმა ხალხმა დაჰკარგა იმედი მისი ხილვისა... უკანასკნელი ჩვენი იმედი რათა ხანია ხელიდან მოგვტაცეს და მე, უბედური, ჩემის დაუდევრობით გავხდი მიზეზი ამ დაკარგვისა. სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი მაინც იბრძვის, მის გულის სიღრმეში მაინც ცოცხლობს პატარა სხივი, იმედის ნაგლეჯი .. ხალხსა ჰგონია, რომ სათნო ჭაბუკი მაინც ცოცხალია .. დადგება დრო, იგი გაჩნდება და გამარჯვებისკენ მიგვიხმობს...

**სხივ**. იგი ჭაბუკი ცოცხალია...

**მეწის**. ჰო, იგი ჩვენს გულში მაინც არ მომკვდარა... ცრუ იმედით კი ნუ მატყუებ, შენი ჭირიმე.. მჯერა, რომ იგი ჭაბუკი სინათლის ქვეყანაში წაიყვანეს, მაგრამ მას აქედ იმდენმა დრომ განვლო, რომ მისი დაბრუნებისა აღარა მჯერა... ტანჯვას და ვაებას ისე შევეჩვიე, რომ ცოტა ოდენი სიხარულიც კი გულსა მტკენს... იყო დრო, ჩვენც მოგვხვდა სინათლის შუქი, ქვეყანა აყვავდა, მაგრამ მალე სინათლე სიბნელედ გადაგვექცა... აი, აქ, ამ ბებერ გულში შეგუბდა წლითი — წლობით ნადენი ცრემლი ტანჯულთა და წამებულთა. თვალთ აღარ მადგება, გასავალი არა აქვს და თუ გასკდა ეს გული, მგონია ცრემლის ზღვა ქვეყანას დაჰფარავს .. მაგრამ უჭერ ხელს დასუსტებულ გულს... მინდა ცრემლით სავსე გული იქ მივიტანო, სადაც ყველა თანასწორია, სადაც სიმართლე და სამართლიანობა წესია. ..

**სხივ**. ბევრი გაწამეს, მოხუცო!.. იცოდე ცრემლის მოწმენდა მარტო თვით ცრემლის მფრქვეველს შეუძლიან.. ტანჯვა-ვაება მხოლოდ მსხვერპლით გამოისყიდება... წამებული თვით წამებაში ძალას მოიპოვებს და ტანჯული ტანჯვაში შვებას...

**მეწისქვ**. არ ვიცი, ვინ ხარ, მაგარი

ბრძნულად კი სჯი... შენი ნაზი ხმა თითქოს ოდესმე მსმენია. . ჰო, ჰო... დილის რიჟრაჟზე, გაზაფხულით, ნორჩი ფოთლები ერთმანეთს რომ შეეთამაშებოდნენ, ნელი ხმით უხარხარებდნენ დილის სიოს, შორი ახლოს ბულბული შეჰყეფდა... რას დამღეროდა, რას მიამბობდა?.. გულზე მოწოლილი სევდა თ-თქოს ოდნავ ცხრებოდა... თითქოს მარგალიტივით ცრემლები იბნეოდა მთელ არე-მარეზე... აი შენი ხმა იმ ბულბულის ხმას მაგონებს.. უსინათლო ვარ, ვერ გიმზერ... იქნებ სანახაობაც ასათივე გაქვს?.. მითხარი, სადა ვარ, ვისთან?..

**სხივ**. (ნაზი მუსიკა)

მე ვარ ტანჯულთა იმედი,
სინათლესა ვფენ ყველასა:
აწ გაგიქარვებ ტანჯვასა,
აწ მოგანიჭებ შვებასა...

**ფერიები**. აწ მოგანიჭებ შვებასა!..

**სხივ**. აღსდექ, მოხუცო! დადგა ჟამი ხსნისა და გამარჯვებისა... შენ, ტანჯულს და წამებულს, სინათლის ქვეყანა მოგესალმება... რწმენა შენი ძლიერია და იმედიც არ გაგიცრუვდება!..

**მეწისქვ**. (მუხლზე დაემხობა) მრწამს, რომ სინათლის ქვეყანაში ვარ, მრწამს, რომ შენ ხარ მხსნელი ტანჯული ერისა .. მაშ მითხარ, სად არის ჩვენი ჭაბუკი?..

**სხივ**. მოიცა პატარა... ნახავ ჭაბუკსაც... შენ გაუძღვები და აჩვენებს მას გზას... შენ მიჰგვრი მას ტანჯულ ერს... შენ დაუბრუნებ წამებულ ხალხს მის იმედს ..

**მეწისქვ**. დაილოცა შენი ხმა... უსინათლო ვარ, მე რა შემიძლიან?

**სხივ**. სინათლის შუქი წაგიძღვებათ წინ, იგი გაგიკვლევთ გზას ... მხოლოდ გახსოვდეს—მსხვერპლია საჭირო... და რაც უფრო წმიდა და ძვირფასი იქნება მსხვერპლი, მით გამარჯვება უფრო სრული და ტკბილი... ხალხი ჩაიგდებს ხელში შანდალს და სალამურს .. მაგრამ...

**მეწისქვ**. მაგრამ?.. რაღას დადუმდი?.. ნუ თუ შემდეგში სინათლე ისევ სიბნელედ გადაგვექცევა? .. რად გვინდა მაშ აგეთი გამარჯვება?!.

**სხივ**. ფოლადის კლიტეს წმიდა, ნორჩი უმანკო სისხლი მოხვდა... კოშკი ინგრევა, ხალხი იმარჯვებს... სათნო ჭაბუკი კი ..

**ფერიები** (ერთად) საბრალო ჭაბუკი!.. ცოდვაა, დედოფალო. .

**მეწისქვ**. ჭაბუკი?.. (შემოდიან ჰირიმზე და არსენა)

**სხივ**. მომიახლოვდი, ჩემო ჭაბუკო .. შენი შუბლი სევდით არის მოცული .. ნორჩი სახე დაგნაოჭებია... ნუ თუ მოგწყინდა ჩვენთან ყოფნა?..

**არსენა**. იმ დღიდან, რაც ის საშინელი სურათი ვნახე, მოსვენება აღარა მაქვს... რაღაც ბურუსი წამოეფარა ჩემს თვალებს... ვეღარ ვარჩევ იმ მშვენიერებას, რომლითაც აქნობამდისინ ვსტკბებოდი... დღე და ღამ მელანდებიან ტანჯულნი, წამებულნი და მშიერნი... ვიღაც უცნობი, უხილავი, მაგრამ ვგრძნობ უძლიერესი მეძახის, მათკენ მითითებს... შენ, უუკეთილ-უძლიერესო დედოფალო, ნუ თუ არა გაქვს ხელთ საშუალება ცრემლი შეუშრო იმ უბედურებს?..

**მეწისქვ**. დალოცოს ღმერთმა შენი მარჯვენა!.. ახლოს მიმიყვანეთ, ხელით შევეხო... გული მითქვამს ჩვენია იგი! (მიჰყავთ არსენასთან... შეეხება ხელით. უცბად გულზე მიიკრავს) შვილო, არსენა!.. ვერ გიმზერ, მაგრამ მთელის ჩემის სულით და სხეულით ვგრძნობ, რომ შენ ხარ ჩვენი იმედი, ჩვენი ჭაბუკი არსენა!.. დაილოცა ღვთის სამართალი?..

**არსენა**. ვინ არის ეს მოხუცი?..

**სხივ**. იგი მოციქულია იმათი, ვისზედაც დარდი შენ გულს გიღრღნის...

**მეწისქვ**. (გულზე ხელს იდებს) აი, აქა მაქვს შენთვის ძღვენი... აქაა დაგუბებული შენ ტანჯულ მოძმეთა ცრემლი. სხვა ვერაფრით გაგიმასპინძლდება შენი სამშობლო...

**სხივ**. (არსენას) წადი, წაჰყევი მაგ მოხუცს, წადი, წადი გაჰყევი შენის გულის თქმას... წინ წაგიძღვებათ სინათლის სხივი!.. გახსოვდეს, ტანჯვა-ვაება მხოლოდ მსხვერპლით გამოისყიდება... შენ, მოხუცო, გახსოვდეს: მსხვერპლი უმანკო, მსხვერპლი წმინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაა საჭირო!.. უსინათლო ხარ, მაგრამ რა დადგება ჟამი გამარჯვებისა, სინადლე მოგეფინება და მოიგონე: მსხვერპლი წმიდა, მსხვერპლი უმანკო!..

**ფერიები**. მსხვერპლი უმანკო, მსხვერპლი წმიდა! (ნაზი მუსიკა. არსენა მოჭკადებს ხელს მეწისქვილეს და მიდიან. ფერიები ბადში გაიშლებიან, ფერხულს გააბმენ, ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

ფარდა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# დედის მკვლელი

(მოთხრობა)

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც." № 26, 39)

ერთ დილით სოფრომმა მოირთო თავის საგარეო ჩოხა-ახალუხით, რომელიც მას მხოლოდ ეკლესიაზე და უქმ დღეებში ჩასაცმელად ქონდა შენახული, და მთელი დღე მეზობლებში გაატარა. შინ რომ მივიდა უკვე საღამო იყო მ იას მოეკალათებინა ქოხის წინ მიწაზე და რაღაც ძველ ძონძებს კერავდა.

მაიი ორმოცდაათი წლის მოხუცებული იყო, ტან-დაბალი და წვრილი, სახე დანაოჭებული, წელში მოხრილი ცალკე მოხუცებულობით, ცალკე შრომით და უპატიურობით. თავზე შავი თავსაფარი ჰქონდა წაკრული, რომ დაეფარა თავისი გაულალებელი თმა, მაგრამ აქეთ-იქეთ ყურებთან ფთილასავით ეკოწიალებოდა ჩამოწოწილი ბალნები. მაიას თვალები კარგად ვერ უჭრიდა და კერვასაც ვერ ატანდა თავს. ის ახლა კერვაში სოფრომაზე ფიქრობდა და თავის გულში ივლებდა: რა ვქნა, მე ხომ სულ არ ვიცოცხლებ. დღესა ვარ ხვალ მოვკვდები და ი ბიჭს რა ეშველება, რა უხერხო ქალს რო არ თხოულობს მე რო მოვკვდე, იმას ვინ დაურეცხავს? ვინ დაუკერავს და საჭმელ-სასმელს ვინ გაუკეთებს? "რავა გამიცივდეს ასე ფუძე... ღმერთო დეგელოცა სამართალიო. ამბობდა მოხუცი თავისთვის და ის კი უხაროდა შვილი რომ მეზობლებში გადავიდა, იქნებ რამე შეასმინონ, გული გაუღვიძონ და ქალის თხოვა აფიქრებიონო. ამას ფიქრობდა დედა შვილისათვის და ის კი არ იცოდა, სოფრომას რა გადაწყვეტილება ჰქონდა და რა გზას დასგომოდა. მან რომ დაინახა მოსული შვილი, გაუცინა და ჰკითხა:

— სა დაალამე, შვილო დღეს, სად იყავი?

შვილმა დედას პასუხი არ მისცა და ჩაფიქრებულმა დაიწყო ულვაშების გრეხა.

დედამ ჩაფიქრება რო შეატყო შვილს, განმეორებით ჰკითხა:

— სად იყავი, შვილო? რაზე ხარ მოწყენილი?

— არაფერზე, დედა,.. უთხრა სოფრომამ მაიას და გაიარ-გამოიარა. ერთ ხანს ასე დადიოდა, მერე მივიდა დედასთან და უთხრა.

— დედა, როდემდი უნდა ვიწანწალო ასე ძაღლივით? უნდა წავიდე საცხა ..

— სადა, შვილო?

— საცხა... სამუშაოდ...

— წადი, მარა როდის გინდა წახვიდე?

— ახლა.. -უთხრა სოფრომამ და ცას შეხედა

— ამ საღამოს სად წახვალ? საცაა დაღამდება დილამდი მეიცადე. დილას, ღმერთო შენით, ადექი, დეიწერე პირჯვარი, ახსენე ღმერთი და წადი. სამუშაოდ სად გინდა წახვიდე? სოფლად თუ ქალაქში?

— არ ვიცი.—ფიქრის შემდეგ უთხრა სოფრომამ და ჩაახველა.

— რავა არ იცი? სამუშაოდ მიხვალ, შვილო, და არ იცი?

— სადაც მოვხდება... იქ წავალ...

— თუ ბევრი დეიგვიანე, მე რა მეშველება? ქფილი ცოტა არი და რო გამეილევა, ვინ მაჭმევს?

— ფულს დაგიტოვებ და მეზობელს აყიდიე ვისმე, არ დაგამადლოს. ერთ ხანს ქე იკმარე და მერე კიდო სხვა იქნება. თუ ვინიცობაა დამიგვიანდა, ნუ გეშინია. მეზობლები ახლო გყავს: და სანამ მევიდოდე, ცოტ-ცოტა დახმარებას არ მოგაკლებენ. მერე მეც გამოვჩდნები და არა გიშავს.

უთხრა სოფრომამ დედას და სამ მანეთამდის ხურდა ფული კალთაში ჩაუჩხრიალა. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იას გაუკვირდა ფულების ნახვა, სიცილით კალთიდან ამოკრიფა, თან ჰკითხა „სად იშოვეო“ და წამოდგა. ამ დროს სოფრომიც დაიძრა წასასვლელად, დედას გადაეხვია მხურვალე კოცნით.

— ბიჭო, რას შობი, სხუმის როდის მაკოცე და გამომემშვიდობე წასვლისას. პირველად ხომ არ მიდიხარ სამუშაოდ? — უთხრა და თან, თუმცა ხალისით, მაინც ეჭვით შეხედა შვილს სახეში.

— მივდივარ, დედა, ვინ იცის რა შეხვდება კაცს?.. მიუგო სოფრომმა მაიას და გავიდა ეზოდან. მაიას ცრემლები მოერია, გულდათუთქული აეტუზა ქოხის კარს და ისე დაუწყო მიმავალ შვილს ყურება. სოფრომა სამი მანეთით ტოვებდა დედას მარტო მჭადის ამარა და როდემდის იქნებოდა ასე მცირე ხარჯზედ, არც თითონ იცოდა, მაგრამ ის-კი ჰქონდა გულში — შორიდან გამოუგზავნი, თუ რამეს გავხდიო და გაუდგა გზას ..

სოფრომა, სანამ სამუდამოდ არ მოშორდა თავის ქოხს, ყაჩაღებში არ მოქმედებდა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად-კი ეცნობოდა მათ, ბოლოს დაუახლოვდა: უკანასკნელ ერთ ალაგას შეხვდა ყაჩაღთა ჯგუფი, გააცნო თავის თავგადასავალი, ხელმოკლეობა, სივიწროვე, ცხოვრების სიმწარე და სამუდამოდ შეჰფიცა, როგორც თავის ღვიძლ ნადებ ძმებს, რომ არასოდეს უღალატებდა და მათი ერთგული იქნებოდა. ამნაირად სოფრომა, ბუნებით კეთილი ადამიანი, გახდა ყაჩაღი და მტაცებელი.

ვისგან შესდგებოდა ეს ყაჩაღთა გუნდი, ვისაც სოფრო·ა შეუერთდა? იმ წითელ რაზმელთაგან, რომელნიც ცხრაას ხუთ წელში ხალხის მეთაურებთან ერთად მუშაობდენ, მაგრამ, როცა რეაქციამ გაიმარჯვა, იარაღი აღარ დაჰყარეს, ყაჩაღად გავარდნენ: პირველხანად ხალხის შემწუხებელ ჯაშუშ-მოღალატეებზე იყრი·ენ ჯავრს და ბოლოს, გამწვავებულ ცხოვრების გამო, მძარცველობდენ კიდეც...

**ევ. ფურცხვანიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ქართული სახიობა

**ქართ. მსახ. ამხანაგობის დასის** მიერ ორშაბათს, 1 ქრისტეშობ. „სახალხო სახლში“ წარმოდგენილმა „იმედი-“ს დაღუპვა-“მ რავდენადაც გარეგნულად მხატვრულად ჩაიარა, იმდენად პიესამ ვერ დააკმაყოფილა დამსწრეთა უმეტესობა. პიე'ის დედა-აზრი, რომ ფულანდართა, ბატონთა ცხოვრების წყარო მრავალ ქვრივობოლთა ცრემლებია—მუშა-მშრომელი ხალხის ნაშრომი, ეს უკვე ანბანური ჭეშმარიტებაა, და ვისაც ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, პიესის უკმაყოფილო დარჩება, რადგან მისი დედააზრი—ლუკმა-პურის ძიებისთვის განწირულთა და მათ დამქირავებელთა ურთიერთობა—ქართული თეატრის მრევლისათვის უცნობ ქარქაზეა ამოქსოვილი. ამიტომაც იყო, რომ პიესამ ვერ გაათბო, ვერ აღძრა მაყურებელთა სული და გული. აღმსრულებელთა შორ.ს უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის რომელიც სცენაზე არ გამოსულა, მაგრამ მისი ხელი კი ყოველ ნაბიჯზე სჩანდა: ეს გახლდათ რეჟისორი ალ. წუწუნავა,—პიესის გარეგნული მხარე: სცენის მოწყობა, მსახიობთა მიმოხვრა, ხმა, სინათლე, ბუნების მოვლენა, ზღვის მხრით გაქათქათებული მზე, ნიავი და სხ. მისთანა გარდამეტებითაც-კი იყო შესრულებული: ასე ჰგრძნობდით, ზღვის ნაპირას ხართ მეთევზის ქოხშიო. სასურველია რეჟისორის ასე გაბატონებამ მსახიობთა თვითშემოქმედება არ ჩაკლას: ეს შევნიშნეთ ამ საღამოს,- თითქმის სრულის შეთანხმებით აღმასრულებელ მსახიობთ ცოცხალი სული ვერ შთაბერეს პიესას. ალბათ მსახიობთა თვითმოქმედების ჩაკვლის ბრალი უნდა იყოს, რომ მოულოდნელად ჩაქრობილი ლამპის ანთება არავის მოაგონდა და... ბოლოს თვითვე აინთო მოულოდნელად...

ეფ. მესხი (კნირტიე), ლუკმის მონა, უფროსთა მორჩილი, ჩუმი, მაგრამ მეტყველი მოხუცი ქვრივი იყო, ალ. იმედაშვილმა (ჰეერტ) საუცხოვოდ გამოხატა ქედმოუდრეკელი, შეგნებული ახალი ცხოვრების წინამორბედი მეზღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურო-მუშის სულის კვეთება, მ. ჭიაურელი (ბარენდ) კარგად ასრულებდა როლს და უკეთესი იქნებოდა, მეტი გულწრფელობა გამოეჩინა. ა. ქიქოძეს (იო) თანდათან უკეთესობა ეტყობა; ადგილ-ადგილ ბუნებრივიც იყო, მაგრამ ხმის მოუქნელობა აუფერულებდა, კუდრაჭობაც აკლდა. ვ. არაბიძე (კობუს) და მ. სარაული (დაანტი) თითქო ერთმანეთს ეცილებოდენ, ვინ უკეთ ადასრულებს როლსო, და ორივემ მხატვრული სინამდვილით განასახიერეს ნაკისრი როლები. მ. სარაულს ხმაც თითქო მოექნა. ი. ზარდალიშვილმა კლემენს ბოსს, ა ყალაბეგიშვილმა სიმონ და პ. კორიშელმა კაპს დიდის შეგნებით და სრულის სინამდვილით განასახიერეს. ნ თოძე (მარეტიე), მ რომანიშვილი (საარტ), ს. ბეჟანიშვილი (ტრუუს) და ა. შოთაძე (მენტინა) კარგები იყვნენ ნ თოიძეს ვურჩევთ ხმის დაფათფუკებას შეეცადოს. კარგი იყო გომელაურიც (ელე). თითქო როლები არ იციანო, ამ ღამეს მოკარნახის ხმა უფრო მკაფიო დ გამოისმოდა. რაც უფრო ვერ ვიგრძნობთ მოკარნახის ყუთსა შინა სუფევას, მით უმჯობესი იქნება. წარმოდგენა 11 საათზე დასრულდა, ხალხი ბლომად დაესწრო.

**ამხანაგობის დასმავე** 3 ქრისტ. წარმოადგინა „ზღვა'თან“, მ. ქორელის რეჟისორობით, რომელმაც ერთხელ კიდევ გვიჩვენა თვისი მხატვრული გემოვნება მაგრამ მშობლიურ რეპერტუარს რო მოეკიდებოდეს ხელს, უკეთესი იქნება. პიესა ლამაზი და შინაარსიანი გამოდგა და ერთსულოვნადაც წარმოადგინეს მაღალ ნიჭიერმა ნ. ჩხეიძემ (გედვიგა), ი. ზარდალიშვილმა („დას), ა. იმედაშვილმა (ჰენრიხ) მ. ჭიაურელმა (იორმერი), ა. ყალაბეგიშვილმა (პასტორი) და მედეია ქორელმა—7-8 წლის გოგონამ (ანნა). ამ პატარა გოგონამ თვისი დაკვირვებული, გამოზომილი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი და ჩვენი ზოგიერთი წლოვანი მსახიობნი რო მისგან ისწავლიდენ როგორ შეუთანხმონ სიტყვა მოქმედებას, მისწრაფებას—მოძრაობას, ურიგო არ იქნება. კარგი იყო ს. ბეჟანიშვილიც (ბებია), მაგრამ ზოგჯერ გაიისახარებდა. „ბებრის სადერდელითა“ ყალბად აგვიშალეს სიცილის სადერდელი: ასეთ ფუქსავატ გოდეილებით რომ არ გვაცდენდენ—სჯობია. მონაწილეობდენ ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. თოიძე და ზ. გომელაური, რომელთაც არარა დააიშურეს, დამსწრენი „გაეცინებინათ“. ხალხი დ საზოგადოება უხვად დაესწრო.

**წინამძღვარ—ი**

**ქუთაისის თეატრში** 13 გიორგობისთვეს ქ-ნ ჯავახიშვილის საბენეფისოდ დასდგეს „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. რუსული ცხოვრებიდან აღებული პიესების დადგმა ჩვენს სცენაზე საერთოდ ძლიერ სახიფათოა, რადგან არ შეიძლება, ბევრი მიზეზების გამო, დაცულ იქმნეს უმთავრეს შემთხვევებში, მხატვრული მთლიანობა. სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ ბ. გუნიამ სული და გული დაუკარგა ონუფრის. ბ. იმედაშვილმა, რომელიც გლუხოვცევის როლისათვის საგანგებოდ დაიბარეს თბილისიდან, ჩვეულებრივად ვერ შეასრულა თავისი როლი. მიზეზი არ ვიცი კი რა იყო. მომენტები კარგი ჰქონდა, მაგრამ ტიპს მარტო მომენტი არ ქმნის. თვით მობენეფისე ჩინებულად ასრულებდა ევდოკია ანტონოვნას როლს, თუმცა სიარულში ხანდახან აჭარბებდა. ბ. მგალობლიშვილი ქადაგს უფრო მოჰგავდა, ვინემ მთვრალ მირონოვს. მეტი ჟესტიკულიაციები მოუვიდა. სუსტი იყო ქ. მდივნის ასულიც ოლღას როლში. ამ როლის შესრულება მას უკეთ შეეძლო, მაგრამ შეიძლება საერთო უგუნებობამ იმოქმედა ამ მსახიობქალზედაც. ასეთ პირობებში საერთო შთაბეჭდილებაც სრული ვერ იქმნებოდა და არც იყო.

15 და 16-ს გიორგ. გაიმეორეს ნათამაშევი პიესები, მცირეოდენი ცვლილებით.

21-ს გაგვიმასპინძლდენ „ჰამლეტით“. დასდგეს სრულიად ახალი მიზანსცენებით; ამით „ჰამლეტმაც“ მოიგო და მაყურებელმაც. რასაკვირველია, ჰამლეტს ბ. მესხიშვილი თამაშობდა და ასე გატაცებით, ასე ხალისით მას ეს როლი ვგონებ სხვა დროს არ შეუსრულებია. თამამად შეიძლება ითქვას, თუკი ბ. მესხიშვილის მიერ ჰამლეტის განმარტებას მიიღებთ, ამ საღამოს სრულიად უნაკლულო იყო.

ბ. შალიკაშვილი კარგი პოლონიუსი იყო. ამ როლის ასრულება დიდის სიფრთხილით უნდა, რადგან ადვილად შეიძლება მისი გამასხარება. ბ. შალიკაშვილის პოლონიუსი სიბრალულს იწვევდა.

ბ. გელოვანი უფერული გამოდგა ჰორაციოს როლისათვის. ამ მსახიობს ხმაც კარგი აქვს, გარეგნობაც სცენისათვის, მაგრამ სცენაზე ძლიერ ეჯავრება მოძრაობა.

ბ. მგალობლიშვილის ლაერტმა ვერ დაგვაკმაყოფილა, რადგან მას უკეთ შეეძლო ამ როლის ასრულება. უგულობა ეტყობოდა.

ქ. ტასო აბაშიძე ოფელიას როლს ასრულებდა. თუმცა სიგიჟის სცენა საუცხოვოდ და მკაფიოდ ჩაატარა, მაგრამ მაინც სავსებით ვერ სძლია.

სუსტნი იყვნენ კლავდიუსისა და გერტრუდას ამასრულებელნი.

მესაფლავის ჭროლში შეუდარებელი იყო ბ. გუ-

ნია. დანარჩენები ანსამბლს შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ, ხანდახან ჩინებულადაც.

იყო დეფექტებიც: უდროოდ თქმა რომელიმე წინადადების, სპარსული ხალიჩა ლოგინზე (სცენა სცენაზე) და სხ.

„იმედის დაღუპვა"მ (22 ნოემბერს) სასურველად ვერ ჩაიარა. ყველას ეტყობოდა, გულგრილად თამაშობდენ. მხოლოდ რამდენიმე მსახიობი ასრულებდა პირნათლად თავის როლს: ქ.ქ. ჯავახიშვილი, დავითაშვილი, არა უშავდა რა მდივანსაც. ბ. გელოვანი იმ საღამოს საუცხოვო იყო, ამ მსახიობს ჯერ არც ერთი როლი არ უთამაშნია ასე კარგად.

23-ს „დამარცხებული რომი" დასდგეს. ამ პიესას იცნობს თბილისელი საზოგადოება. ადგილი ნებას არ მაძლევს დაწვრილებით შევეხო ამ პიესას. ამ პიესაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მასიურ სცენებს და სწორედ ეს სცენები იყო სრულიად უვარგისი. არავითარი მოძრაობა, არავითარი გრძნობა, არ ეტყობოდა არც ერთს. ხალხი და სენატორები კი ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს უფრო გვანდენ, ვიდრე რომის მოქალაქეთ.

ამსრულებელთ შორის ბბ. გუნია (კვინტ ფაბიუსი), მურუსიძე (ვესტაპორი, მონა), ნ. გვარაძე (კვინტ ენიუსი), ქ.ქ. ჯავახიშვილი (პოსტუმია) და მდივანი (ოპიმია) იქცევდენ ყურადღებას. სხვები უფერულად თამაშობდენ. ზოგმა როლი არ იცოდა, ზოგს ხმა არ ქონდა, ზოგი გაშეშებული იდგა სცენაზე. პიესა ხალხს ძლიერ მოეწონა.

ხალხი ყოველთვის აუარებელი ესწრება წარმოდგენას და „ჰამლეტზე" კი სულ ტევა არ იყო.

L,ami

**სახალხო სახლში** სახ. წარმ. მმარ. წრემ 29 გიორგ. „ყაჩაღები" გვიჩვენა ალ. შანშიაშვილის მონაწილეობით, რომელიც ორს როლს (კარლოსა და ფრანცს) ასრულებდა. ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს დაიჭერსო, სწორედ ალ. შანშიაშვილზე ითქმის: ერთმა მეორე გააუფერულა. ეს კი ითქმის, რომ შ-ი, როგორც ახალგაზდა მსახიობი, სჩანს თითოეულად ორივე როლს კარგად ასრულებს. ეტყობა მსახიობი მუშაობს, და ამაშია მისი გამარჯვება. ამ ღამეს მიუბაძველ ხმითა და საკუთარის განმარტებით ასრულებდა ფრანც მოორის როლს. არა გვგონია, ადამიანმა, ფეხზე მდგომელმა, ზეწარი წაიჭიროს და ისე დაიხრჩოს თავი... სული ტკბილია და ასე ნელ-ნელა ვერ დახრჩობს კაცი თავს, თუ გინდ იგი ფრანც მოორი იყოს... ბუნებრივის სინამდვილით განასახიერეს ვ. გამყრელიძემ მაქსიმილიანე, თ. ლეჟავამ ამალია, ნ. გოცირიძემ — პატერი და ს. რომანიშვილმა — შპიგელბერგი. სასურველია თ. ლეჟავას ხშირად ვსჭვრეტდეთ სცენაზე. კარგები იყვნენ ვ. ნინიძე (შვეიცერ) და გ. ანაშვილი (დანიელ), მაგრამ შვეიცერის ყაჩაღობასა და ვაჟკაცობაში ეჭვი შეგვივიდა, როდესაც ვ. ნინიძემ თავისი თოფი ტყეში „ჭაერზე" (გაწმენდილ ტილოზე, მიაყუდა. ვეჭვობთ ჯერ კიდევ ბრძოლის განსაცდელში მყოფმა და მტრის მომლოდინე ყაჩაღმა თოფი სადღაც მიაყუდოს. ვ. რატიშვილს უფრო უნდა გაერკვია როლლერის ხატება. ცოცხლად შეასრულეს სტუდენტებმა მეორე სურათში (არ იყო კარგი, ეს სცენა უკან რომ გადაიტანეს, ალბად დროს მოსაგებად). რეჟისორის მხრით პიესა კარგად იყო დადგმული, მაგრამ ვერ მივხვდით ბოჰემიის ტყეში ხეზე თოკს რა უნდოდა? იქნება წინადვე იცოდნენ, პატერი გამოჩნდებოდა და კარლოსი მკლავით უნდა მიებმულიყო?! მეორე სურათში ფრანც მოორს თითქო წერილი გარედან შემოუგდეს (ალბად დავიწყებოდა), ზოგიერთებმა როლები არ იცოდნენ, წინადადებას ან ხელახლად იწყობდნენ, მრავალსიტყვაობდნენ, ან სიტყვებს გადამახინჯებით ხმარობენ. არც ისაა კარგი, თოფ-დამბაჩების მაგიერ თითქო ზარბაზნებს რომ აქუხებენ...

იმდენა ხალხი დაესწრო, რომ... ნემსი არ ჩავარდებოდა...

ქანდარიდან მაინც სიჩუმეს არღვევდნენ „სიჩუმე"—ს წამომძახებელნი, პარტერში კი ზოგნი თავის ხველით..

უსავანო

**ავლაბრის სახალხო თეატრში** 30 გიორგ. დ. ერისთავის „სამშობლო" წარმოადგინეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდნენ თეატრის მუშაკთ, რომ პიესის წარმოდგენასთან მისი მხატვრული მხრის დაცვაც საჭიროა, თორემ ისე თეატრის მნიშვნელობა გამასხარავდება. მართალია, ავლაბრის წრე ჯერ ღარიბია, მაგრამ ამაში რა დანაშაულია დ. ერისთავი, რომ მის სულის განძს ამახინჯებენ, ან ხალხი, რომ წარმოდგენის მაგიერ...

რა ვსთქვათ? ხალხი კი იმდენი დაესწრო, იტყოდი კედლები გაირღვევაო. აღმსრულებელთა შორის აღსანიშნავია ი. იაანიძე (ს. ლიონიძე), რ. ჯიბლაძე (დადიანი), განსაკუთრებით ან. კავთელი (ქეთევანი) და ვ. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველაშვილი (ფაიხოშ). ორივე ნიჭიერად ასრულებდა ნაკისრ როლებს. კარგი და შესაფერი იყო ი. რევაზიშვილიც შაჰ-აბასის როლში. გვარიანი დედაკაცი იყო სააკოვისა და არ. შათირიშვილი (დიაკვანი გოგია) ი. ჟვიძეს ლევან ხიმშიაშვილის როლი კარგად შეეგნო, მაგრამ... მაინც გმირი ხიმშიაშვილი არ იყო: უხამსოდ ხელების გაშლა ზოგჯერ უკან დაწყობა, სიტყვების მკაფიოდ გამოუთქმელობა, თითქო ენა თავისუფლად ვერ მოუტრიალებიაო,—აი მისი ნაკლი და ამას რომ აიცილებდეს, ბევრად მოიგებდა.

დანარჩენებს ისე ეჭირათ თავი და ისე იძახოდენ სიტყვებს, თითქო ეჭვი ებადებათ—ჩვენ ჩვენა ვართ, თუ სხვებიო: როლები არ იცოდენ და ეს დიდი დანაშაულობაა მათის მხრით.

მიუხედავად ამისა განუზომელია უნარი სცენის მოყვარეთა და გამგეობისა და უფრო მეტ ყურადღებას რომ მიაქცევდენ როგორც პიესის მომზადებას, ისე თვის შრევლის კეთილწესიერად გაწრთვნას, ემჯობინება..

ნუ თუ ამ უბნის მცხოვრებნი—თეატრში მოსიარულენი, ვერა ჰგრძნობენ, რომ თეატრში უწესოება და დრიანცელი თვით მათვე აგნებს და სახელს უტეხს! —**ერი**

**ნაძალადევის თეატრში** კვირას, 30 გიორგობისთვეს, ვიხილეთ „თამარ ბატონიშვილი“, რომელმაც უკვე დრო მოიჭამა და მისი დადგმა, მეტადრე სახალხო სცენაზე, დრომოჭმულად უნდა ჩაითვალოს, განათლების გზაზე დამდგარს მშრომელ ხალხს, ახალის, იდეურის, მხატვრულის ნაწარმოებით უნდა უმასპინძლდებოდნენ და არა დახავსებულის პიესით. საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი უხამსობაც: მეხუთე მოქმედების დასაწყისში გამოჩნდა ლაშა გიორგის მორთულ-მოკაზმული ციხე-დარბაზი და... უცებ გამოვიდა ბ. ს. სვიმონიძე რაღაცა განცხადებით. რა უნდოდა იმ დროს სვიმონიძეს ლაშა გიორგის სასახლეში?—ვერ გაგვიგია...

აღმასრულებელთა შორის გარგები იყვნენ: ქ. ქ. ჩიქოვანი (თამარი), გოგაშვილი (რუსუდანი) და ბ. კუდუხაშვილი (შალვა), რომელიც უფრო კარგი იქმნებოდა, ბოლო მოქმედებაში გადაჭარბებულად რომ არ ეყვირნა. საშუალოდ თამაშობდა ბ. გაბინაშვილი (ლაშა გიორგი). ბ. ი. კანდელაკი შეუფერებელი იყო ელიზბარ ერისთავის როლში, როგორც გრიმით, ისე მოქმედებით. **მოკეთე**

# წვრილი ამბები

**დღეს კ. ფოცხვერაშვილის** კონცერტია „არტ. საზ“. დარბაზში.

**შემდეგი წარმოდგენა** მსახიობთა ამხანაგობისა 10 ქრისტეშობისთვეს „არტ. საზ. თეატრში“ —„საზოგადოების დედაბოძნი“.

**ახალი პიესები** დასწერეს დ. კასრაძემ „ციხის ცრემლები“, დრამა 4 მოქ. და ს. ერთაწმინდელმა—„ლურჯი ხალათი“, დრამ. ესკიზი 1 მოქ.

**ქართული ოპერეტის** დადგმა განუზრახავს რუსული ოპერეტის მსახიობ-მომღერალს ლადო კავსაძეს.

**სალიტერატურო საღამო** გაიმართება ქუთაისში 9 ქრისტეშობისთვეს საქველმოქმედო მიზნით.

**ქართული თეატრის ასაშენებლად** მთელი ერთი კვირით დაეხმარებიან გარე-კახეთის სოფლები მარტყოფი 30 ურმით და 60 კაცით, პატარძეული 15 ურ., 30 კაც., ბერთუბანი-10 ურ., 20 კაც.. ნორიო—40 ურ., 40 კაც., ახალ-სოფელი-6 ურ., 12 კაც. სოფლებმა ამის შესაფერი განაჩენი დაადგინეს სართიჭალის ბოქაულის თავ. ნიკ. აბ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით და ქართ. დრამ. საზ. თავმჯდომარის ამხ, თ. ნ. დ. ერისთავს წარუდგინეს.

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“** უმახლობელს თანამშრომლობაზე თავისი სურვილი განაცხადეს ი. გედევანიშვილმა, ივ. გომართელმა. ივ. მაჭავარიანმა და ვ. ლამბაშიძემ.

**ხაშურის ქართ. დრამატ. წრის გამგეობამ** შეიმუშავა მომავალი სადღესასწაულო წარმოდგენების რეპერტუარი: 13 დეკემ. დაიდგმება „ბატონი და ყმა“ (იაფ-ფასიანი) 26 დეკ. „სამშობლო“ ერისთავისა (აწეულ ფასებში). 2 იან. „სურამის ციხე“ (იაფ-ფასიანი) 7 იან. „მეზობლები„ ტ. რამიშვილისა აწეულ ფასებში). საჭირო დეკორაცია-ტანისამოსებს ამზადებენ.

**სურამის ქალთა წრემ** განიზრახა თბილისიდან მოიწვიოს მსახიობი ი. ზარდალიშვილი და მგოსანი ი. გრიშაშვილი, გამართოს საღამო-წარმოდგენა ხაშურის სცენაზე (რადგან დ. სურამში არ აქვთ სცენა და წმინდა შემოსავალი გადასცეს დამწვარ ქართ. თეატრის საალმაშენებლო კომიტეტს თბილისში.

**„გაწყვეტილი სიმი“**, ახალი დრამა 4 მოქ, გარდელისა, ცალკე წიგნად გამოვიდა.

**ივ. პოლუმორდვინოვი ან. ჩეხოვის** მოთხრობათა ცალკე გამოცემას შეუდგა. „სთარგმნის „გლეხებს“ და მალე ბეჭდვასაც დაიწყებს. წიგნი იქნება 300 გვ. დაერთვის მწერლის ბიოგრაფია და კრიტიკული განხილვა.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

წელიწადი მესამე

# მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

ჩვეულებრივის პროგრამით **ივ. ზომართლისა** და **იოს. იმედაშვილის** რედაქციით,

**იოსებ გედევანიშვილის, ივანე მაჭავარიანის, ვახტანგ ლამბაშიძის**
მახლობელ მონაწილეობით და ჩვენი საუკეთესო დამსახურებულ ახალგაზრდა კრიტიკოსთა, სიტყვა-კაზმულ მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა და ხელოვან-მხატვართა თანამშრომლობით. იუმორისტული განყოფილებით და შარჟებით.

**„თეატრი და ცხოვრება" ყოველგვარ ჯგუფ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ.
ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად"**-ში, **„ცოდნას"** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან.**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ**

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

## დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

# კედლის კალენდარი 1915 წ.

შედგენილი **გრ. ჩარკვიანისა** და **მ. გაჩეჩილაძის** მიერ.

# სახალხო კალენდარი 1915 წ.

შედგენილი **მ. გაჩეჩილაძის** მიერ.

ვისაც სურს გასასყიდათ გამოიწეროს კალენდარი მან უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით: თბილისი სტამბა „სორაპანი" **მ. გაჩეჩილაძეს.**




(წ.—36) 4—2

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „სახალხო ფურცელი“

(სურათებიანი დამატებით)

წლიურად ღირს 8 მან. 50 კ., ერთის თვით 75 კ. პირველ დეკემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 75 კ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კ.

მისამართი: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. № 190.

---

ექიმები:

**ა. [illegible] იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმ[illegible] „Те[illegible]

დილით 8—10 ს., [illegible] 5—7 ს.

წყნეთ[illegible] № 19.

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ი. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

ნისა, ვენერიული და სიფილისის

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

---

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

## ჯაჯუ ჯორჯიკიას

ნაწერები. ვსთხოვთ აგენტებს დაუყონებლივ გაასწორონ ანგარიში. რომელი აგენტისაგანაც 1 იანვრამდე ანგარიშს არ მივიღებთ, მათ სახელ და გვარს გაზეთში გამოვაცხადებთ, ხოლო წიგნს კი არ გაუგზავნით. ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, კონსტანტინე ჯორჯიკიას. სხვა მისამართით გამოგზავნილი ფული თავის დანიშნულებას ვერ მოხმარდება.

(4-1) გამომცემლები

---

22 აგვისტ. გამოდის ყოველდღიური საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

## ახალი აზრი

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ 90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.

**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

---

## შრომა

სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

---

15 დეკემბრიდან გამოვა ახალი საორშაბათო გაზეთი

## „ჩვენი დროება“

ახალი რედაქციით.

მისამართი: Тифлисъ. Типографія „Сорапанъ“ для „Чвени Дроэба“.

---

სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапанъ“